

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვერდ(ებ)ი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯიას“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისაგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან და ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საჭირო „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ყურადღებას მივაპყრობთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია კომპანიის და ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიისა და ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიისა და ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა კომპანიას და ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმოებმა, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის და ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.



**Building a better
working world**

- ▶ შვეიცარიაში აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის სისტემას, რათა დავგვემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა კომპანია და ჯგუფი გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება მივაპყროთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე ჩვენს მიერ მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის და ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ვასკვნით, რომ:

- ▶ კომპანიისა და ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას; და
- ▶ ხელმძღვანელობის ანგარიშები ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.



**Building a better
working world**

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 27 სექტემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯიას“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისაგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან და ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ყურადღებას მივაპყრობთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია კომპანიის და ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიისა და ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიისა და ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა კომპანიას და ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმოებმა, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის და ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.

- ▶ შვეისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლის სისტემას, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა კომპანია და ჯგუფი გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება მივაპყროთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე ჩვენს მიერ მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის და ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაკლენთ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე ვასკვნით, რომ:

- ▶ კომპანიისა და ჯგუფის ხელმძღვანელობის ანგარიშებში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას; და
- ▶ ხელმძღვანელობის ანგარიშები ასახავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 27 სექტემბერი

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018 წ.	2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	54,006	4,252	24,441
სულ გრძელვადიანი აქტივები		54,006	4,252	24,441
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,969	258	5
წინასწარ გაწეული ხარჯები და სხვა		1,343	1,072	312
მიმდინარე აქტივები		28,699	22,264	3,545
დებიტორული ანგარიშები	10			
ფულადი სახსრები და მათი				
ეკვივალენტები	11	111	477	4,970
სულ მიმდინარე აქტივები		32,122	24,071	8,832
სულ აქტივები		86,128	28,323	33,273
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი (შეადგენს \$1-ს				
და დამრგვალებულია ქვემოთ)	12	–	–	–
გაუნაწილებელი მოგება		19,720	17,848	564
სულ კაპიტალი		19,720	17,848	564
კრედიტორული დავალიანება	13	66,408	10,475	25,610
სესხები და გადასახდელი				
ანგარიშები	14	–	–	7,099
სულ მიმდინარე ვალდებულებები		66,408	10,475	32,709
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		86,128	28,323	33,273

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები რომლებიც მოცემულია 1-30 გვერდებზე დამოწმებულია შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს. კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ვლადიმერ შეყრილაძე



დირექტორი

2019 წლის 27 სექტემბერი.

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018 წ.	2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	54,006	4,252	24,441
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	1	488	–	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		54,494	4,252	24,441
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,969	258	5
წინასწარ გაწეული ხარჯები და სხვა მიმდინარე აქტივები		1,117	1,072	312
დებიტორული ანგარიშები	10	28,208	22,264	3,545
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	76	477	4,970
სულ მიმდინარე აქტივები		31,370	24,071	8,832
სულ აქტივები		85,864	28,323	33,273
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი (შეადგენს \$1-ს და დამრგვალებულია ქვემოთ)	12	–	–	–
გაუნაწილებელი მოგება		19,692	17,848	564
სულ კაპიტალი		19,692	17,848	564
კრედიტორული დავალიანება	13	66,172	10,475	25,610
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	14	–	–	7,099
სულ მიმდინარე ვალდებულებები		66,172	10,475	32,709
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		85,864	28,323	33,273

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურება	5	36,609	42,052
აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვა	5	1,370	39,306
ტექნიკური მომსახურება	5	637	1,677
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან		38,616	83,035
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(34,985)	(64,587)
საერთო მოგება		3,631	18,448
 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,258)	(539)
საოპერაციო მოგება		2,373	17,909
 საპროცენტო ხარჯი		–	(467)
უცხოური ვალუტის გაცვლიდან მიღებული ზარალი		(501)	(163)
სხვა შემოსავალი		–	5
სხვა ხარჯი, წმინდა		(501)	(625)
 დასაბეგრი მოგება		1,872	17,284
მოგების გადასახადი		–	–
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		1,872	17,284

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურება	5	36,118	42,052
აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვა	5	1,370	39,306
ტექნიკური მომსახურება	5	637	1,677
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან		38,125	83,035
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(34,522)	(64,587)
საერთო მოგება		3,603	18,448
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,258)	(539)
საოპერაციო მოგება		2,345	17,909
საპროცენტო ხარჯი		–	(467)
უცხოური ვალუტის გაცვლიდან მიღებული ზარალი		(501)	(163)
სხვა შემოსავალი		–	5
სხვა ხარჯი, წმინდა		(501)	(625)
დასაბეგრი მოგება		1,844	17,284
მოგების გადასახადი		–	–
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		1,844	17,284

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შეადგენს \$1-ს და დამრგვა- ლებულია ქვემოთ)	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	564	564
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	17,284	17,284
ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	17,848	17,848
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	1,872	1,872
ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	19,720	19,720

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას აშშ დოლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შეადგენს \$1-ს და დამრგვა- ლებულია ქვემოთ)	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	564	564
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	17,284	17,284
ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	17,848	17,848
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	1,844	1,844
ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	19,692	19,692

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა:			
დასაბეგრი მოგება		1,872	17,284
კორექტირებები დასაბეგრი მოგების საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 9	5,714	9,314
საპროცენტო ხარჯები		–	467
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		(1,711)	(253)
წინასწარ გაწეული ხარჯები და სხვა მიმდინარე აქტივები		(271)	(760)
დებიტორული ანგარიშები		(6,435)	(5,557)
კრედიტორული დავალიანება		4,061	(17,170)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,230	3,325
საინვესტიციო საქმიანობა:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,596)	(252)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,596)	(252)
საფინანსო საქმიანობა:			
აღებული სესხები და თამასუქები	15	–	5,000
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	15	–	(12,000)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	15	–	(566)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		–	(7,566)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(366)	(4,493)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	477	4,970
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	111	477
არაფულადი საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა გადავადებული გადახდის პირობით		49,917	–

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა:			
დასაბეგრი მოგება		1,844	17,284
კორექტირებები დასაბეგრი მოგების საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 9	5,714	9,314
საპროცენტო ხარჯები		–	467
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		(1,711)	(253)
წინასწარ გაწეული ხარჯები და სხვა მიმდინარე აქტივები		(45)	(760)
დებიტორული ანგარიშები		(5,944)	(5,557)
კრედიტორული დავალიანება		3,825	(17,170)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,683	3,325
საინვესტიციო საქმიანობა:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,596)	(252)
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		(488)	–
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,084)	(252)
საფინანსო საქმიანობა:			
აღებული სესხები და თამასუქები	15	–	5,000
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	15	–	(12,000)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	15	–	(566)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		–	(7,566)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(401)	(4,493)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	477	4,970
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	76	477
არაფულადი საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა გადავადებული გადახდის პირობით		49,917	–

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

1. კომპანიის აღწერა

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“ და მისი შვილობილი კომპანიასთან ერთად შემდგომში „ჯგუფი“) არის 2015 წლის 14 მაისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდან-ნამალადევის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქ. 264ა. (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა). 2018 წლის 26 ოქტომბერს კომპანიამ დაარსა ახალი შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, „დი სი ჯორჯია“ 100%-იანი მფლობელობით. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მონაცემთა დამუშავების ცენტრის მართვა და აპარატული უზრუნველყოფის რეალიზაცია.

ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელია ბიტფური ჰოლდინგი ბი.ვი. (ნიდერლანდები) (შემდგომში „მშობელი კომპანია“ ან „მფლობელი“), რომლის იურიდიული მისამართია ამსტერდამი, ჰერენგრანჩის 168, 1016BZ ხოლო საბოლოო მშობელი კომპანია არის 2018 წლის 1 აგვისტოს დაფუძნებული Bitfury Group UK Topco (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“ ან „ბიტფური“). ბიტფური გრუპ ლიმიტედი არის ბლოკჩეინის ტექნოლოგიის კომპანია, რომლის მიზანიც არის ბიზნესკომპანიებისთვის, მთავრობებისთვის, ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირებისთვის ბლოკჩეინის ქსელში აქტივების გადაადგილებისთვის საჭირო პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის გადაწყვეტების შემუშავება და მიწოდება.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელის მიერ. მფლობელს აქვს იურიდიული უფლება და უფლებამოსილება, შეცვალოს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები გამოშვების შემდეგ.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე („ფასს“) გადასვლის ფარგლებში.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების დოლარში („აშშ დოლარი“) და ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე (\$000), თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს“) პირველად გამოყენება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება პირველი ანგარიშგებაა, რომელიც ჯგუფმა ფასს-ის მიხედვით მოამზადა. შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სათანადო ფასს-ის მოთხოვნათა დაცვით პირველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და მასთან ერთად შესაძარებლად მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის ანგარიშგებები. ჯგუფს არ წარუდგენია წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები სააღრიცხვო პოლიტიკის სხვა ყოვლისმომცველი სისტემის ქვეშ შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის წინა პერიოდებში წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერების მონაცემები. ჯგუფს არ გამოუყენებია ფასს 1-ით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ დაშვებული რეტროსპექტული გამოყენების გამონაკლისები. ჯგუფმა გამოიყენა ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ და ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ძალაში შესვლამდე, 2017 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდისთვის.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის შემდეგს:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი, გაგრძელებამოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;
- მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, საჭიროებისამებრ.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს \$34,286-ით აღემატებოდა, რაც, მეტწილად, განპირობებული იყო დიდძალი აღჭურვილობის შესყიდვით, რათა მონაცემთა დამუშავების ცენტრს გაეგრძელებინა ჰოსტინგის მომსახურება, ძირითადად, თავისი დაკავშირებული მხარეებისთვის და/ან გადაყიდვა მესამე მხარეებზე (მე-9 შენიშვნა) და, 2018 წელს ბიტკოინების ბაზარზე უარყოფითი ცვალებადობის გამო შემოსავლების და გაყიდვების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკო, 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აღნიშნული ბაზარი საგრძნობლად გამოსწორდა.

2019 წლის სექტემბერში ჯგუფმა მშობელი კომპანიისგან მიიღო წერილი, რომლითაც მშობელი კომპანია უარს ამბობს ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით არსებული კრედიტორული დავალიანების იმ ნაწილის დაფარვის მოთხოვნაზე, რომელიც აღემატება მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგისა და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ დებიტორულ დავალიანებას, თუკი ეს გადახდა უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის ფინანსურ სტაბილურობაზე.

შესაბამისად, ჯგუფს აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ გააჩნია საკმარისი რესურსი, რათა გააგრძელოს საოპერაციო საქმიანობა განჭვრეტად მომავალში და ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.4 უცხოური ვალუტები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც ამასთანავე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან აღირიცხება შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების გაქვითვის შედეგად წარმოშობილი სხვაობების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს წინასწარი გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის დღედ ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს წინასწარ გადახდასთან დაკავშირებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

2.5 შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ჯგუფის რისკებთან და განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული სხვა განმარტებითი შენიშვნები მოიცავს შემდეგს:

საბაზრო რისკი	მე-4 შენიშვნა, თავი 4.1
საკრედიტო რისკი	მე-4 შენიშვნა, თავი 4.2
ლიკვიდურობის რისკი	მე-4 შენიშვნა, თავი 4.3

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის განსჯა, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.5 შეფასებები და დაშვებები, გაგრძელება

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

აღჭურვილობისა და ტექნიკური მომსახურების პაკეტის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკონტრაქტო ვალდებულებების განსაზღვრა

ჯგუფი სწევს ტექნიკურ მომსახურებას, რომელსაც კლიენტებს ან ცალკე სთავაზობს, ან აღჭურვილობასთან ერთად. ტექნიკური მომსახურება გულისხმობს სამომავლო მომსახურების გაწევის დაპირებას და წარმოადგენს ჯგუფსა და კლიენტს შორის მოლაპარაკებელი გარიგების ნაწილს.

ჯგუფი მტკიცედ აცხადებს, რომ აღჭურვილობა და ტექნიკური მომსახურება გამიჯვანდია ერთმანეთისგან. ის ფაქტი, რომ ჯგუფი რეგულარულად ყიდის როგორც აღჭურვილობას, ისე ტექნიკურ მომსახურებას ცალ-ცალკე, იმაზე მიანიშნებს, რომ კლიენტს თითოეული პროდუქტისგან შეუძლია ცალკე სარგებლობის მიღება. ასევე განსაზღვრა, რომ აღჭურვილობის გადაცემისა და ტექნიკური მომსახურების გაწევის დაპირება კონტრაქტის კონტექსტში მკაფიოდ განსაზღვრადია. შესაბამისად, ჯგუფმა გარიგების ფასის ნაწილი გადაანაწილა აღჭურვილობასა და დამონტაჟების მომსახურებაზე ფარდობითი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

2.6 გადასახადით დაბეგრვა

ჯგუფი რეგისტრირებულია საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2.7 მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანად არის წარმოდგენილი, თუ:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანად არის წარმოდგენილი, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულება გრძელვადიანია.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.8 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი ძირითადი საქმიანობაა მონაცემთა დამუშავების ცენტრის მართვა, ტექნიკური მომსახურების გაწევა და აპარატული უზრუნველყოფის რეალიზაცია. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ.

კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების შესახებ განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია 2.4 თავში. *აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვა*

ნახევარგამტარი კომპონენტებისა და სერვერის აღჭურვილობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს, როგორც წესი, აღჭურვილობის მიწოდებისთანავე. კლიენტი თანხას ან ავანსად იხდის, ან მიწოდებიდან 30-90 დღეში.

ჯგუფი განიხილავს, არის თუ არა კონტრაქტში ისეთი დაპირებები, რაც წარმოადგენს ცალკე სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომელზეც უნდა გადანაწილდეს გარიგების ფასის ნაწილი (მაგ. გარანტიები, მომხმარებელთა ერთგულების ქულები). აღჭურვილობის გაყიდვისთვის გარიგების ფასის განსაზღვრისას ჯგუფი განიხილავს ცვალებადი ანაზღაურების ეფექტებს, დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობას და კლიენტისთვის ასანაზღაურებელ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(i) ცვალებადი ანაზღაურება

თუ კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურება შეიცავს ცვალებად ანაზღაურებას ჯგუფი აფასებს ანაზღაურების იმ ოდენობას, რომლის მიღების უფლებაც ექნება კლიენტისთვის საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება კონტრაქტის გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი შემობრუნება აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრებლობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. აღჭურვილობის გაყიდვის კონტრაქტები კლიენტებს არ აძლევს დაბრუნების უფლებას, მოცულობის გამო ფასდაკლებას ან ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სხვა ელემენტებს.

(ii) დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი

ზოგადად, ჯგუფი თავისი კლიენტებისგან მოკლევადიან ავანსებს იღებს. ფასს 15-ის პრაქტიკულ მიზანშეწონილობაზე დაყრდნობით, ჯგუფი არ აკორექტირებს ანაზღაურების დაპირებულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტების ეფექტების შესაბამისად, თუ იგი კონტრაქტის გაფორმებისას მოელის, რომ პერიოდი დაპირებული საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემიდან კლიენტის მიერ საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდამდე მაქსიმუმ ერთი წელი იქნება.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.8 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან, გაგრძელება

საგარანტიო ვალდებულება

ჩვეულებრივ, ჯგუფი ზოგად გარანტიებს გასცემს, რომლებიც ითვალისწინებს გაყიდვის დროს არსებული წუნის აღმოფხვრას. რწმუნების ტიპის გარანტიები აღირიცხება - ბასს (IAS) 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ შესაბამისად.

გარდა გაყიდვის დროს არსებული დეფექტების აღმოფხვრისა, ჯგუფი როგორც წესი, გასცემს 180-დღიან გარანტიას. ეს საგარანტიო მომსახურება ან ცალკე იყიდება, ან აპარატულ უზრუნველყოფასთან ერთად. აღჭურვილობასთან ერთად გაყიდვისა და მომსახურების ტიპის გარანტიის ხელშეკრულებები რეალურად შეიცავს ორ ვალდებულებას, რადგან აღჭურვილობის გადაცემისა და საგარანტიო მომსახურების გაწევის დაპირებები ერთმანეთისგან გამიჯვნადია. ფარდობითი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის მეთოდის გამოყენებით, გარიგების ფასის ნაწილი განაწილდება საგარანტიო მომსახურებაზე და მისი აღიარება ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებად. შემოსავალი აღირიცხება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია საგარანტიო მომსახურება გასული დროის საფუძველზე და აისახება ტექნიკური მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლად. ჯგუფის მშობელი კომპანია მთლიანად ანაზღაურებს საგარანტიო ხარჯებს ასეთის არსებობის შემთხვევაში, 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსალოდნელი ხარჯების ანარიცხი საგარანტიო ხარჯებთან დაკავშირებით ჯგუფს არ შეუქმნია.

მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურება

მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ამ ვალდებულებებზე გადანაწილებული ინდივიდუალური გასაყიდი ფასის შესაბამისად. ეს მომსახურება გაიწევა მომსახურების ანაზღაურების ხელშეკრულებების მეშვეობით. ჰოსტინგის ხელშეკრულების ფარგლებში, ჩვეულებრივ, შემოსავლის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება. *საგარანტიო ვალდებულება*

საკონტრაქტო აქტივები და სავაჭრო დებიტორული დავალიანება

საკონტრაქტო აქტივი არის ანაზღაურების მიღების უფლება კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. თუ ჯგუფი კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, საკონტრაქტო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის.

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე). იხ. ფინანსური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკა 2.11 თავში.

საკონტრაქტო ვალდებულებები

საკონტრაქტო ვალდებულება არის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვალდებულება, რომლისთვისაც ჯგუფს კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან ანაზღაურების თანხის გადახდის დრო დადგა). თუ კლიენტი გადაიხდის ანაზღაურებას უფრო ადრე, ვიდრე ჯგუფი კლიენტს მიაწვდის საქონელს ან მომსახურებას, საკონტრაქტო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სრულდება გადახდა ან დგება გადახდის დრო (უადრესი). საკონტრაქტო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის უწყისში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და მოკლევადიან ანაბრებს მაქსიმუმ სამი თვის ვადით, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

2.10 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ნედლეული: შესყიდვის ღირებულება პირველი შემოსავალში/პირველი გასავალში (ფიფო) მეთოდით
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. თუ თვითღირებულება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებაზე ნაკლებია, აღირიცხება გაუფასურების ხარჯი, და სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მცირდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე;

2.11 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აღიარებული გაუფასურების ზარალი. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივები მზად არის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და მიიჩნევა, რომ აკმაყოფილებს საჭირო ტექნიკურ პირობებს. ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ არის მზად ექსპლუატაციისთვის ითვლება დაუმთავრებელ მშენებლობად, არ ერიცხება ცვეთა და კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის უწყისში აისახება ძირითად საშუალებებში.

ცვეთის აღიარება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის (რომელიც 2-დან 5 წლამდე მერყეობს) ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან აქტივების შეფასებული ღირებულების ჩამოსაწერად (გარდა მიმდინარე მშენებლობებისა), ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. პროგნოზირებული სასარგებლო გამოყენების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და ნებისმიერი ცვლილება აისახება პროგნოზებში პერსპექტიულად. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის განისაზღვრა, რომ სასარგებლო გამოყენების მოსალოდნელი ვადები გონივრული იყო და მათში კორექტირებები არ შესულა.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება მათი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მათი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების ერთეულის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან ამონაგებ თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ყველა ერთეულის გაუფასურების შემოწმება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული ნიშნები იმისა, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება ვერ მოხერხდება. გაუფასურების ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში ან ზარალში. 2017 და 2018 წლებში ჯგუფს არ ჰქონდა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რეზერვის ხარჯი.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. იმ სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ფასდება ფასს 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით. იხ. სააღრიცხვო პოლიტიკა 2.7 თავში.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება, გაგრძელება

(i) ფინანსური აქტივები, გაგრძელება

შემდგომი შეფასება, გაგრძელება

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ჯგუფში ყველაზე აქტუალური კატეგორიაა ფინანსური აქტივები და ამორტიზაციის ხარჯი

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; ან (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება, გაგრძელება

(i) ფინანსური აქტივები, გაგრძელება

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მე-10 შენიშვნაში წარმოდგენილი.

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშებისა და საკონტრაქტო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, გაგრძელება

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება, გაგრძელება

(ii) ფინანსური ვალდებულებები, გაგრძელება

შემდგომი შეფასება

სესხები და გადასახდელი ანგარიშები

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია აისახება საპროცენტო ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

(iv) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(v) ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. კომპანია აფასებს შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციის ამოღებადობას მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ნიშნები. გაუფასურების ნიშნები შესაძლებელია მოიცავდეს შემოსავლების ან ფულადი ნაკადების კლებას ან არსებით უარყოფით ცვლილებებს საკმარისობის ქვეყნის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ გარემოში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ამოღებადი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია შესაძლებელია გაუფასურებული იყოს, შესაბამის ინვესტიციასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სამომავლო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები შედარდება მათ საბალანსო ღირებულებასთან, რათა დადგინდეს საჭიროა თუ არა მათი ჩამოფასება აღდგენით ღირებულებამდე.

შვილობილი კომპანია დარეგისტრირდა 2018 წლის ოქტომბერში და ამ პერიოდის მდგომარეობით აქვს მცირე რაოდენობის ტრანსაქციები. კომპანიის მენეჯმენტი არ მიიჩნევს რომ ადგილი აქვს ინვესტიციის გაუფასურებას 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

3. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, როლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებზე, ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია

- ▶ ფასს (IFRS) 16 „იჯარა“
- ▶ ფასს (IFRS) 4 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ▶ ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების ფასიკ დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ▶ ცვლილებები ზასს (IAS) 19-ში: „გეგმის შეცვლა, შეკვეცა ან საბოლოო ანგარიშსწორება“
- ▶ ყოველწლიური გაუმჯობესებების ციკლი 2015-2017 წ.წ. (გამოცემული 2017 წლის დეკემბერში)
 - ▶ ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“
 - ▶ ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი გარიგებები“
 - ▶ ზასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“
 - ▶ ზასს (IAS) 23 „სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“

4. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან და კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს დებიტორულ დავალიანებას, ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, რომლებსაც ის პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან იღებს.

ჯგუფს თავისი საქმიანობის წარმართვისას ექმნება საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. ჯგუფის ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს ფინანსური ბაზრების არაპროგნოზირებადობაზე და ცდილობს თავისი საქმიანობის საკმარისი დაფინანსებით უზრუნველყოფას.

4.1 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სამი ტიპის რისკებს: საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკსა და სხვა საფასო რისკს, როგორიცაა და სასაქონლო რისკი.

ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, საბაზრო რისკისგან დიდი გავლენა არ არსებობს, რადგან ჯგუფს არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, და ჯგუფის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ძირითადად ჯგუფის სამუშაო ვალუტაშია გამოხატული.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4. ფინანსური რისკის მართვა, გაგრძელება

4.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფმა განათავსა შესაბამისად \$11,477 და \$4,970 ბანკში, რომელიც მესამე მხარეა და Standard & Poor's-ისგან მინიჭებული აქვს BB-/B რეიტინგი, Moody's-გან B1/NP (FC) & Baa3/NP (LC) და Fitch Ratings-ისგან BB-/B.

- დებიტორული ანგარიშები

ჯგუფის დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მესამე მხარეების მიმართ მოთხოვნებისგან. ეს მოთხოვნები გამოხატულია აშშ დოლარში და, მეტწილად, იფარება საანგარიშგებო თარიღიდან სამ თვეში. 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი თანხა არ აღიარებულია.

4.3 ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი თავისი ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ლიკვიდურობის დაგეგმვის მექანიზმით. ჯგუფის მიზანია, საბანკო ოვერდრაფტებისა და სესხების გამოყენებით ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებასა და მოქნილობას შორის.

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო სამ თვეში და საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უახლოვდებოდა თავიანთ საბალანსო ღირებულებებს.

5. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

დეზაგრეგირებული ინფორმაცია შემოსავლის შესახებ

ჯგუფის შემოსავლები შედგება:

	2018	2017
მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურება	36,609	42,052
აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვა	1,370	39,306
ტექნიკური მომსახურება	637	1,677
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	38,616	83,035
დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული საქონელი	1,370	39,306
დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურება	37,246	43,729
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	38,616	83,035

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

5. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან, გაგრძელება

დეზაგრეგირებული ინფორმაცია შემოსავლის შესახებ, გაგრძელება

კომპანიის შემოსავლები შედგება:

	2018	2017
მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურება	36,118	42,052
აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვა	1,370	39,306
ტექნიკური მომსახურება	637	1,677
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	38,125	83,035
დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული საქონელი	1,370	39,306
დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურება	36,755	43,729
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	38,125	83,035

საკონტრაქტო ნაშთები

ჯგუფის საკონტრაქტო ბალანსები შედგება:

	2018	2017	1 იანვარი, 2017
დებიტორული ანგარიშები	28,699	22,264	3,545

კომპანიის საკონტრაქტო ბალანსები შედგება:

	2018	2017	1 იანვარი, 2017
დებიტორული ანგარიშები	28,208	22,264	3,545

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. დებიტორულ ანგარიშებს პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30-90 დღეა. დებიტორულ დავალიანებაში მნიშვნელოვანი ზრდა 2017 და 2018 წლებში ძირითადად მიეწერებოდა მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს \$17 და \$7.3 მილიონის ოდენობით.

ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება

ინფორმაცია ჯგუფის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ შეჯამებულია ქვემოთ:

მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურება

სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება დროთა განმავლობაში ხდება და გადახდის დრო, როგორც წესი, დგება მომხმარებლის მიერ მომსახურების გამოყენებისთანავე.

აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვა

სახელშეკრულებო ვალდებულება სრულდება აღჭურვილობის მიწოდებისთანავე. დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი არ არსებობს, რადგან, როგორც წესი, კლიენტი თანხას ან ავანსად იხდის, ან მიწოდებიდან 30-90 დღეში.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

5. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან, გაგრძელება

ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება, გაგრძელება

გარდა გაყიდვის დროს არსებული დეფექტების აღმოფხვრისა, ჯგუფი, როგორც წესი, გასცემს 180-დღიან გარანტიას. გარანტია აღირიცხება ცალკე ვალდებულების შესრულებად და მასზე ნაწილდება გარიგების ფასის ნაწილი. საგარანტიო მომსახურების სახელშეკრულებო ვალდებულება სრულდება 180-დღიანი ვადის განმავლობაში დროის გასვლის საფუძველზე. შესაბამისი შემოსავლის წარმოდგენა ხდება ტექნიკური მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალში. გადახდა, როგორც წესი, უნდა მოხდეს ტექნიკური მომსახურების მიღებისთანავე, ანუ ყოველთვიურად.

ტექნიკური მომსახურება

ტექნიკური მომსახურების სახელშეკრულებო ვალდებულება სრულდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში დროის გასვლის საფუძველზე. გადახდა, როგორც წესი, უნდა მოხდეს ტექნიკური მომსახურების მიღებისთანავე, ანუ ყოველთვიურად.

ჯგუფი მიმართავს ფასს 15.121-ში აღნიშნული პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასის ერთობლივი ოდენობის შესახებ, რადგან ჯგუფს უფლება აქვს მიიღოს კლიენტისგან ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც პირდაპირ შეესაბამება იმას, თუ რა ღირებულება აქვს კლიენტისთვის ჯგუფის მიერ მოცემულ თარიღამდე ვალდებულების შესრულებას.

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ჯგუფის გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგება:

	2018	2017
საქართველოს მონაცემთა დამუშავების ცენტრის დანახარჯები	33,457	35,776
გაყიდული აპარატული უზრუნველყოფის თვითღირებულება	1,187	26,235
სხვა დანახარჯები	341	2,576
	34,985	64,587
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	21,763	15,267
ცვთის დანარიცხი	5,714	9,314
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,635	1,191
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	1,474	9,254
გაყიდული აპარატული უზრუნველყოფის თვითღირებულება	1,187	26,235
სხვა დანახარჯები	3,212	3,326
	34,985	64,587

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება, გაგრძელება

კომპანიის გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგება:

	2018	2017
საქართველოს მონაცემთა დამუშავების ცენტრის დანახარჯები	32,994	35,776
გაყიდული აპარატული უზრუნველყოფის თვითღირებულება	1,187	26,235
სხვა დანახარჯები	341	2,576
	34,522	64,587
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	21,300	15,267
ცვთვის დანარიცხი	5,714	9,314
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,635	1,191
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	1,474	9,254
გაყიდული აპარატული უზრუნველყოფის თვითღირებულება	1,187	26,235
სხვა დანახარჯები	3,212	3,326
	34,522	64,587

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,007	389
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	251	150
	1,258	539

სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა აუდიტორის გასამრჯელოს \$ 18-ის ოდენობით 2018 და 2017 წლებში.

8. თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯები

ჯგუფის მიერ დაქირავებული თანამშრომლების საშუალო რაოდენობა (ხელშეკრულების ზედა რგოლის ჩათვლით) 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში იყო 159 (2017: 128) თანამშრომლებზე გაწეული მთლიანი ხარჯები მოიცავს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას და ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს:

	2018	2017
ხელფასები	2,514	1,546
თანამშრომელთა სარგებელზე გაწეული სხვა ხარჯები	128	34
	2,642	1,580

9. ძირითადი საშუალებები

ცვთვის გამოსათვლელად გამოყენებულია შემდეგი სასარგებლო გამოყენების ვადები:

სერვერის აღჭურვილობა	2 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	ხუთ წელსა და დარჩენილ საიჯარო ვადას შორის უმცირესი
კომპიუტერული და მონაცემთა დამუშავების ცენტრის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	3 წელი

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

9. ძირითადი საშუალებები, გაგრძელება

	შენიშნა- ნაგებობები და საიჯარო- გაუმჯობესებები		კომპიუ- ტერული და მონაცემთა დამუშავების ცენტრის აღჭურვილობა	ავიჯი და მოწყობი- ლობები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი აქტივები	სულ
თვითღირებულება							
2017 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	13,653	126	14,409	4	11	4,935	33,138
შემოსვლები	–	–	218	–	34	–	252
გადატანები სასაქონლო- მატერიალურ მარაგებში	(12,374)	(126)	(14,409)	(4)	(7)	(2,018)	(28,938)
გადატანები	–	–	157	–	–	(157)	–
2017 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	1,279	–	375	–	38	2,760	4,452
შემოსვლები	3,804	–	1,850	–	–	51,465	57,119
გასვლები	–	–	–	–	–	(162)	(162)
გადატანები სასაქონლო- მატერიალურ მარაგებში	(1,810)	–	–	–	–	–	(1,810)
გადატანები	29,949	–	6,861	–	–	(36,810)	–
2018 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	33,222	–	9,086	–	38	17,253	59,599
ცვეთა და გაუფასურება							
2017 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	5,655	22	3,016	2	2	–	8,697
ცვეთის ხარჯი	6,884	15	2,409	2	4	–	9,314
სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში გადატანისას გაქვითული	(12,402)	(37)	(5,368)	(4)	–	–	(17,811)
2017 წლის							
31 დეკემბრის							
მდგომარეობით	137	–	57	–	6	–	200
ცვეთის ხარჯი	4,848	–	858	–	8	–	5,714
სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში გადატანისას გაქვითული	(321)	–	–	–	–	–	(321)
2018 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	4,664	–	915	–	14	–	5,593
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	7,998	104	11,393	2	9	4,935	24,441
2017 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	1,142	–	318	–	32	2,760	4,252
2018 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	28,558	–	8,171	–	24	17,253	54,006

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

10. დებიტორული დავალიანება

ჯგუფის დებიტორული დავალიანება შედგება:

	2018	2017	1 იანვარი, 2017
მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	27,839	20,560	3,516
აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვიდასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	830	1,677	–
სხვა დებიტორული დავალიანება	30	27	29
	28,699	22,264	3,545

კომპანიის დებიტორული დავალიანება შედგება:

	2018	2017	1 იანვარი, 2017
მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	27,348	20,560	3,516
აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვიდასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	830	1,677	–
სხვა დებიტორული დავალიანება	30	27	29
	28,208	22,264	3,545

დებიტორულ ანგარიშებს პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30-90 დღეა. 2017 და 2018 წლებში მოთხოვნების (დებიტორული დავალიანებების) მნიშვნელოვანი გაუფასურება არ აღიარებულა.

31 დეკემბრისთვის ჯგუფის სავაჭრო დებიტორული ანგარიშების საკრედიტო რისკი ასეთი იყო:

	ვადაგადაცილებული					
	სულ	მიმდინარე	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე
2018 წ.	28,699	3,391	14,295	–	10,466	547
2017 წ.	22,264	1,421	12,427	8	8,382	26
1 იანვარი, 2017 წ.	3,545	3,504	–	–	41	–

31 დეკემბრისთვის კომპანიის სავაჭრო დებიტორული ანგარიშების საკრედიტო რისკი ასეთი იყო:

	ვადაგადაცილებული					
	სულ	მიმდინარე	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>91 დღე
2018 წ.	28,208	2,900	14,295	–	10,466	547
2017 წ.	22,264	1,421	12,427	8	8,382	26
1 იანვარი, 2017 წ.	3,545	3,504	–	–	41	–

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ნაღდი ფულის ნაშთით ბანკში. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან ზარალს, რომელიც გამოწვეულია იმ ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

12. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას სრულად ჰქონდა შეტანილი საწესდებო კაპიტალი \$ 1-ის ოდენობით, დამრგვალებული ქვემოთ. 2017 და 2018 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

13. კრედიტორული დავალიანება

ჯგუფის კრედიტორული დავალიანება შედგება:

	2018	2017	1 იანვარი, 2017
აღჭურვილობასა და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	62,687	9,164	24,538
დარიცხული ხელფასები და პრემიები	202	150	–
სხვა დავალიანება	3,519	1,161	1,072
	66,408	10,475	25,610

კომპანიის კრედიტორული დავალიანება შედგება:

	2018	2017	1 იანვარი, 2017
აღჭურვილობასა და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	62,687	9,164	24,538
დარიცხული ხელფასები და პრემიები	202	150	–
სხვა დავალიანება	3,283	1,161	1,072
	66,172	10,475	25,610

აღჭურვილობასთან და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება, რომელიც არის ურთიერთდაკავშირებული მხარეების მიმართ პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 180 დღეში იფარება.

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

14. სესხები და გადასახდელი ანგარიშები

	საპრო- ცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი, 2017 წ. და 2018 წ.		დარიცხული პროცენტი მიღებული 1 იანვარი, 2017 წ.		
			2017 წ.	2018 წ.	2017 წ.	2017 წ.	2017 წ.
\$5,000-ის საბანკო სესხი	15.0%	15 მაისი 2018	–	(2,174)	75	–	2,099
\$5,000-ის საბანკო სესხი	15.0%	15 აგვისტო 2018	–	(5,277)	277	–	5,000
\$5,000-ის საბანკო სესხი	10.0%	30 აგვისტო 2018	–	(5,115)	115	5,000	–
			–	(12,566)	467	5,000	7,099

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

15.1 ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2018 და 2017 წლებში ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება იყო \$158 და \$132, რომელიც მოკლევადიანი სარგებლისგან შედგებოდა.

15.2 შემოსავალი და დებიტორული დავალიანება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა მშობელი კომპანიისგან მიიღო მონაცემების დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავალი \$24,508 ოდენობით (2017 წელს მშობელი კომპანიისგან მიღებული შემოსავალი მონაცემების დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებიდან შეადგენდა \$42,052 ხოლო აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვიდან \$955). 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულმა მოთხოვნებმა მშობელი კომპანიის მიმართ მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებით შეადგინა \$27,028, \$20,353 და \$3,504, შესაბამისად ხოლო სხვა მოთხოვნებმა \$811, \$207 და \$13, შესაბამისად. აღჭურვილობასთან და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება პროცენტის არ არის და, ჩვეულებრივ, 30-90 დღეში იფარება.

2018 წელს, კომპანიამ მშობელი კომპანიისგან მიიღო მონაცემების დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავალი \$23,567 ოდენობით (2017 წელს მშობელი კომპანიისგან მიღებული შემოსავალი მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებიდან შეადგინა 42,052 ხოლო აპარატული უზრუნველყოფის გაყიდვიდან \$995). 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულმა მოთხოვნებმა შვილობილი კომპანიის მიმართ მონაცემთა დამუშავების ცენტრის ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებით შეადგინა \$26,717, \$20,353 და \$3,504 ხოლო სხვა მოთხოვნებმა \$811, \$207 და \$13. დებიტორული დავალიანებები პროცენტული არ არის და ჩვეულებრივ 30, 90 დღეში იფარება

შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები, გაგრძელება

15.3 შესყიდვები და კრედიტორული დავალიანება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა/კომპანიამ მშობელი კომპანიისგან შეისყიდა \$58,499 ღირებულების აპარატული უზრუნველყოფის აღჭურვილობა ხოლო გაწეულმა მომსახურებამ მშობელი კომპანიისგან შეადგინა \$970 (2017 წელს აპარატული უზრუნველყოფის აღჭურვილობამ შეადგინა \$20,878 ხოლო მიღებულმა სერვისმა \$1,118). 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობებით ჯგუფის/კომპანის კრედიტორულმა დავალიანებამ აპარატული უზრუნველყოფის აღჭურვილობაში გადასახდელმა თანხებმა შეადგინა \$62,687, \$9,164 და \$24,538, შესაბამისად ხოლო სხვა კრედიტორულმა დავალიანებამ \$796, \$1,112 და \$1,071 შესაბამისად. აღჭურვილობასთან და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება პროცენტის არ არის და, ჩვეულებრივ, 180 დღეში იფარება.

16. სამართლიანი ღირებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას რაც დიდ წილად გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტების ხანმოკლე ვადიდან გამომდინარე.

ჯგუფის ხელმძღვანელობას არ მიაჩნია, რომ სამართლიან ღირებულებებში 2018 წლის განმავლობაში შესული ცვლილებები შეიძლება მიეწერებოდეს საკრედიტო რისკის ცვლილებას. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, დებიტორული დავალიანების, კრედიტორული დავალიანების და სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო.

17. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარა - ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი შევიდა საიჯარო გარიგებაში და საოპერაციო იჯარით აიღო კონკრეტული ავტომობილები და დანადგარები, საიჯარო ვადა აირს ერთ წლამდე ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. მომავალი მინიმალური საიჯარო ვალდებულებები შეუწყვეტელი საოპერაციო იჯარის პირობებში გამოიყურება შემდეგნაირად:

	2018	2017	1 იანვარი, 2017
ერთ წლამდე	537	805	805
ერთი წლის შემდგომ, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა	—	—	—
5 წლის შემდგომ	—	—	—
	<u>537</u>	<u>805</u>	<u>805</u>

ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს კაპიტალი და სხვა პირობითი ვალდებულებები

შპს “ბი ეფ დი სი ჯორჯია” (ჯგუფი) მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა:

საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს შპს “ბი ეფ დი სი ჯორჯია”-ს:

ა) ჯგუფის საქმიანობას, შედეგებსა და მდგომარეობას, რაც შედეგება შემდეგისგან:

- ჯგუფისა და მისი საქმიანობის მიმოხილვა;
- ჯგუფის სამომავლო გეგმები;
- კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
- ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.

ბ) ძირითად რისკ-ფაქტორებს

ჯგუფის შესახებ

შპს “ბი ეფ დი სი ჯორჯია” შეიქმნა 2015 წელს. ჯგუფის პარტნიორი და 100% წილის მფლობელია ”ბითფური პოლდინგ ბი ვი”, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებული ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად.

2018 წლის 26 ოქტომბერს, შპს “ბი ეფ დი სი ჯორჯია” -მ დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შპს “დი-სი-ჯორჯია”, 100% მფლობელობით;

ჯგუფის უმაღლესი მმართველი ორგანოა ჯგუფის პარტნიორთა საერთო კრება. ჯგუფის პარტნიორთა საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად, სამეურნეო წლის დასრულებიდან ორ თვეში. პარტნიორთა ხმები განისაზღვრება კაპიტალში მათი წილების პროპორციულად. ჯგუფის კაპიტალში დამატებითი შენატანების შეტანა შეიძლება განხორციელდეს ჯგუფის პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება შენატანის უკან დაბრუნების ფორმა, ოდენობა და დაბრუნების თარიღი.

ჯგუფის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს ჯგუფის დირექტორი, რომელსაც ირჩევს ჯგუფის პარტნიორთა საერთო კრება.

ჯგუფის საქმიანობა

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მონაცემთა დამუშავების ცენტრის მართვა და აპარატული უზრუნველყოფის რეალიზაცია.

სამომავლო გეგმები

ჯგუფის სამომავლო გეგმები ორიენტირებულია სტაბილურ განვითარებასა და შემოსავლების ზრდაზე.

ჯგუფი გეგმავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა: ადეკვატური მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, ჯგუფის ხელთ არსებული რესურსების ოპტიმიზაცია, ადამიანიური რესურსების მოტივაციის ქმედითი სისტემის შექმნა და ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესება.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფს 2018 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია კვლევისა და განვითარების სფეროში ღონისძიებები და არ გაუწევია შესაბამისი ხარჯები.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის 2018 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2018 წელი	2017 წელი	% ცვლილებები
შემოსავალი გაყიდვებიდან	97,874	208,305	-53%
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	88,671	162,025	-45%
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,188	1,352	136%
საპროცენტო ხარჯები	-	1,173	-100%

ათასი ლარი	2018 წელი	2017 წელი	% ცვლილებები
გრძელვადიანი აქტივები	144,552	11,023	1211%
მიმდინარე აქტივები	85,978	62,398	38%
კაპიტალი	52,783	46,266	14%
კრედიტორული დავალიანება	177,747	27,155	555%

2018 და 2017 წლებში, ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 159 კაცს და 128 კაცს, შესაბამისად.

ჯგუფი ზრუნავს თანამშრომლების განვითარებაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს:

- ჯანსაღ სამუშაო გარემოს;
- საგანმანათლებლო/პროფესიული ტრენინგების ჩატარებას;
- ჯამრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს.

ძირითადი რისკ – ფაქტორები

ჯგუფი თავისი საქმიანობის წარმართვისას ექმნება საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. ჯგუფის ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს ფინანსური ბაზრების არაპროგნოზირებადობაზე და ცდილობს თავისი საქმიანობის საკმარისი დაფინანსების უზრუნველყოფას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სამი ტიპის რისკებს: საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკსა და სხვა საფასო რისკს, როგორცაა სასაქონლო რისკი.

ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, საბაზრო რისკისგან დიდი გავლენა არ არსებობს, რადგან ჯგუფს არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები და ჯგუფის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ძირითადად ჯგუფის სამუშაო ვალუტაშია გამოხატული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში

- 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას განათავსა 111 ათასი დოლარს და 477 ათასი დოლარი ბანკში, რომელიც მესამე მხარეა და შტანდარდ & ოორ'ს- ისგან მინიჭებული აქვს -/ რეიტინგი, ოოდჟ'ს - ისგან 1/ (ჩ) & ა3/ (ჩ) და იტცჰ ლატინგს- ისგან -/ .
- დებიტორული ანგარიშები

ჯგუფის დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მესამე მხარეების მიმართ მოთხოვნებისგან. ეს მოთხოვნები გამოხატულია აშშ დოლარში და მეტწილად იფარება საანგარიშგებო თარიღიდან სამ თვეში. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი თანხა არ

აღიარებულია.

ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფი თავისი ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ლიკვიდურობის დაგეგმვის მექანიზმით. ჯგუფის მიზანია, საბანკო ოვერდრაფტებისა და სესხების გამოყენებით ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებისა და მოქნილობას შორის.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულა დასაფარი იყო სამ თვეში და საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უახლოვდებოდა თავიანთ საბალანსო ღირებულებებს.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მართვაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი.

ვლადიმერ შეყრილაძე



დირექტორი

27 სექტემბერი 2019

შპს “ბი ეფ დი სი ჯორჯია” მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა:

საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს შპს “ბი ეფ დი სი ჯორჯია”-ს:

ა) კომპანიის საქმიანობას, შედეგებსა და მდგომარეობას, რაც შედეგება შემდეგისგან:

- კომპანიის და მისი საქმიანობის მიმოხილვა;
- კომპანიის სამომავლო გეგმები;
- კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
- ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.

ბ) ძირითად რისკ-ფაქტორებს

კომპანიის შესახებ

შპს “ბი ეფ დი სი ჯორჯია” შეიქმნა 2015 წელს. კომპანიის პარტნიორი და 100% წილის მფლობელია ”ბითფური ჰოლდინგ ბი ვი”, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებული ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება. კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად, სამეურნეო წლის დასრულებიდან ორ თვეში. პარტნიორთა ხმები განისაზღვრება კაპიტალში მათი წილების პროპორციულად. კომპანიის კაპიტალში დამატებითი შენატანების შეტანა შეიძლება განხორციელდეს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება შენატანის უკან დაბრუნების ფორმა, ოდენობა და დაბრუნების თარიღი.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს კომპანიის დირექტორი, რომელსაც ირჩევს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება.

კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მონაცემთა დამუშავების ცენტრის მართვა და აპარატურული უზრუნველყოფის რეალიზაცია.

სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები ორიენტირებულია სტაბილურ განვითარებასა და შემოსავლების ზრდაზე.

კომპანია გეგმავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა: ადეკვატური მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, კომპანიის ხელთ არსებული რესურსების ოპტიმიზაცია, ადამიანური რესურსების მოტივაციის ქმედითი სისტემის შექმნა და ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესება.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია კვლევისა და განვითარების სფეროში ღონისძიებები და არ გაუწევია შესაბამისი ხარჯები.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2018 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2018 წელი	2017 წელი	% ცვლილებები
შემოსავალი გაყიდვებიდან	96,629	208,305	-54%
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	87,497	162,025	-46%
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,188	1,352	136%
საპროცენტო ხარჯები	-	1,173	-100%

ათასი ლარი	2018 წელი	2017 წელი	% ცვლილებები
გრძელვადიანი აქტივები	144,552	11,023	1211%
მიმდინარე აქტივები	85,271	62,398	37%
კაპიტალი	52,708	46,266	14%
კრედიტორული დავალიანება	177,115	27,154	552%

2018 და 2017 წლებში, კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 159 კაცს და 128 კაცს, შესაბამისად.

კომპანია ზრუნავს თანამშრომლების განვითარებაზე, რაც თავის მხვრივ გულისხმობს:

- ჯანსაღ სამუშაო გარემოს;
- საგანმანათლებლო/პროფესიული ტრენინგების ჩატარებას;
- ჯამრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს.

ძირითადი რისკ – ფაქტორები

კომპანიას თავისი საქმიანობის წარმართვისას ექმნება საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს ფინანსური ბაზრების არაპროგნოზირებადობაზე და ცდილობს თავისი საქმიანობის საკმარისი დაფინანსების უზრუნველყოფას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სამი ტიპის რისკებს: საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკსა და სხვა საფასო რისკს, როგორცაა სასაქონლო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, საბაზრო რისკისგან დიდი გავლენა არ არსებობს, რადგან კომპანიას არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე

ფინანსური ინსტრუმენტები და კომპანიის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ძირითადად კომპანიის სამუშაო ვალუტაშია გამოხატული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას განათავსა 76 ათასი დოლლარს და 477 ათასი დოლარი ბანკში, რომელიც მესამე მხარეა და შტანდარდ & ოორ'ს- ისგან მინიჭებული აქვს -/ რეიტინგი, ოდენ'ს - ისგან 1/ (*h*) & ა3/ (*h*) და იტცპ ლატინგს- ისგან -/ .

- **დებიტორული ანგარიშები**

კომპანიის დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მესამე მხარეების მიმართ მოთხოვნებისგან. ეს მოთხოვნები გამოხატულია აშშ დოლარში და მეტწილად იფარება საანგარიშგებო თარიღიდან სამ თვეში. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი თანხა არ აღიარებულა.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ლიკვიდურობის დაგეგმვის მექანიზმით. კომპანიის მიზანია, საბანკო ოვერდრაფტებისა და სესხების გამოყენებით ბალანსის დაცვა დაფინანსების უწყვეტობის შენარჩუნებისა და მოქნილობას შორის.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულა დასაფარი იყო სამ თვეში და საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უახლოვდებოდა თავიანთ საბალანსო ღირებულებებს.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი.

ვლადიმერ შეყრილაძე



დირექტორი

27 სექტემბერი 2019